



№ 373/1

11 08 2022

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის,  
 სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს  
 ქალბატონ თამარ ფიცხელაურს**

ასლი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსს  
 ბატონ ლევან ჯღარკავას

ასლი: სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს უფროსს  
 ბატონ რევაზ ბეჟაშვილს

**ქალბატონო თამარ,**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტისა და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობის თანახმად, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაცია“ (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „კორპორაცია“) ვალდებულია, მდ. რიცეულას და მდ. ხედეთურის კაშხლების ზედა ბიეფში, ყოველწლიურად გაუშვას 20 000 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტა. აღნიშნულ ვალდებულებას კორპორაცია ბოლო რამდენიმე წელია სრულყოფილად ასრულებს, კერძოდ, მას შემდეგ რაც მიეცა შესაძლებლობა სსიპ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოდან (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „სააგენტო“) შეეძინა საჭირო რაოდენობისა და სახეობის ლიფსიტა.

სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდშიც დაგეგმილი იყო მოცემული ვალდებულების შესრულება, თუმცა სააგენტოს 2022 წლის 17 ივნისის N1/144 წერილით კორპორაციისათვის ცნობილი გახდა, რომ ხშირი წვიმების გამო მომატებულმა სიმღვრივემ, ნაკადულის კალმახის ეროვნულ საშენში გამოიწვია მნიშვნელოვანი რაოდენობის ლიფსიტის დახოცვა და აღნიშნული ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო სააგენტო 2022 წელს ვერ შეძლებს დათევზიანების მომსახურების შესრულებას. ამასთან, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სააგენტომ გამოთქვა მზაობა, 2023 წელს განახორციელოს ორმაგი რაოდენობით დათევზიანება (იხ. დანართი N 1).

აქვე გაცნობებთ, რომ სააგენტოს 2022 წლის 25 მაისის N1/115 წერილით (იხ. დანართი N 2), კორპორაციისათვის ასევე გახდა ცნობილი ის ფაქტი, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს მიერ განხილულ იქნა ნაკადულის კალმახით დათევზიანების მეთოდები და 2022 წლის 17 თებერვლის სხდომაზე მათ მიერ აღიარებულ იქნა საუკეთესო მეთოდი, რომელიც გულისხმობს დათევზიანებად ქვირითით თვალის სტადიაზე, თუმცა აღნიშნული მეთოდი არ გამოირიცხავს ლიფსიტით ან ლარვით დათევზიანებას. საბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, საუკეთესო მეთოდის უპირატესობას ბუნებასთან მაქსიმალურად ადაპტირებული, ველური პოპულაციის წარმოქმნა წარმოადგენს. ნაკადულის კალმახის ველურ პოპულაციას გარემოსთან მაქსიმალურად მათალი შემგუებლობის წყალობით ექნება თვითგადარჩენის მათალი მაჩვენებელი.



**Intertek**

ქ. თბილისი, 0177 გაზაფხულის ქ. №18  
 18, GAZAPKHULI STR, 0177 TBILISI, GEORGIA  
 საინფორმაციო კოდი / ID: 230866783  
 Tel.: +(995 32) 2 21 01 87  
 E-mail: giec@giec.ge

2022 წლის 25 მაისის N1/115 წერილში სააგენტო გვთავაზობს დათევზიანების მომსახურებას შემდეგი პრიორიტეტების მიხედვით:

1. ქვირითი თვალების სტადიაზე დათევზიანება;
2. ლარვით დათევზიანება;
3. ლიფსიტით დათევზიანება.

როგორც მოგესვენებათ, „კორპორაციას“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილ შემარბილებელ ღონისძიებათა გეგმაში მითითებული აქვს დათევზიანების მხოლოდ ერთი მეთოდი - ლიფსიტით დათევზიანება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოგმართავთ თხოვნით:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 იანვრის N2-26 ბრძანების მე-2 პუნქტითა და 2015 წლის 18 ივნისის N31 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი პირობით დადგენილი დათევზიანების ვალდებულება გადაგვივადოთ 2023 წლისთვის.
2. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით შესაბამისად, მოგვცეთ თანხმობა, იქთიოფაუნაზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმუზაციის მიზნით, „კორპორაციამ“ შეძლოს სააგენტოს მიერ შემოთავაზებული საუკეთესო მეთოდის დანერგვა, ამასთან, გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მეთოდით დათევზიანების შეუძლებლობის შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ავტომატურად მოხდეს განხილვა მომდევნო მეთოდით დათევზიანების.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქვირითი თვალების სტადიაზე დათევზიანება ხდება 30%-ით მეტი რაოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ლიფსიტით დათევზიანების მეთოდის გამოყენების დროს კომპანია ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს 20 000 ერთეული მდინარის კალმახის ლიფსიტის გაშვება, ქვირითი თვალების სტადიაზე დათევზიანებისას მოხდება 26 000 ცალი ქვირითის (თვალების სტადიაზე) ჩაშვება, მდ. ხედეთურისა და მდ. რიცეულას ზედა ბიეფებში.

გთხოვთ, თქვენ შემდგომ გადაწყვეტილებას.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

**დანართი: 8 ფურცლად.**

პატივისცემით







N 1/115  
25/05/2022

115-1-2-202205251459



შ.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკული კორპორაციის“  
გენერალურ დირექტორს ბატონ ოლექსი ვილხოვს  
მისამართი: ქ. თბილისი, 0177 გაზაფხული ქ.N18

ბატონო ოლექსი,

წერილის მიზანს წარმოადგენს ნაკადულის კალმახით დათევზიანების მომსახურებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილება.

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N 2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს მიერ, განხილული იქნა ნაკადულის კალმახით დათევზიანების მეთოდები. 2022 წლის 17 თებერვალის სხდომაზე საქართველოს წამყვანი იქთიოლოგების მიერ, აღიარებულ იქნა ნაკადულის კალმახით დათევზიანების საუკეთესო მეთოდი - ქვირითით თვალის სტადიაზე. წარმოდგენილი მეთოდი არ გამორიცხავს ლიფსიტით ან ლარვით დათევზიანებას; თუმცა, რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, პრიორიტეტულად ერთხმად იქნა მიჩნეული. აღნიშნული მეთოდის უპირატესობას ბუნებასთან მაქსიმალურად ადაპტირებული, ველური პოპულაციის წარმოქმნა წარმოადგენს. შესაბამისად, გარკვეულწილად გარემოსდაცვითი ხასიათისა და ანთროპოგენული ჩარევით ველური პოპულაციის ჩამოყალიბების საუკეთესო გზას წამოადგენს. აღსანიშნავია, რომ ნაკადულის კალმახის ველურ პოპულაციას გარემოსთან მაქსიმალურად მაღალი შეგუებულობის წყალობით ექნება თვითგადარჩენის მაღალი მაჩვენებელი.

ფინანსური და რაოდენობრივი კუთხით, გაცნობებთ, რომ ქვირითით თვალის სტადიაზე დათევზიანება ხდება 30%-ით მეტი რაოდენობით; თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი არ აძვირებს დათევზიანების მომსახურებას. ველური ბუნების სააგენტოს უმთავრეს სტრატეგიას მომსახურების მაღალი ხარისხი წარმოადგენს, შესაბამისად, სააგენტო მზად არის რომ მოახდინოს რაოდენობრივი სხვაობის სუბსიდირება.

ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანების მომსახურების პერიოდი განისაზღვრება დაახლოებით იანვრიდან მარტის შუა რიცხვებამდე.

დათევზიანების მომსახურება პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირია:

- I. ქვირითით თვალების სტადიაზე დათევზიანება;
- II. ლარვით დათევზიანება (გამოჩევილი კალმახი, ლიფსიტობის სტადიამდე);
- III. ლიფსიტით დათევზიანება - ბუნებაში მაქსიმალურად ადრეულ სტადიაზე გაშვება, რათა მაქსიმალურად მოახდინონ ბუნებრივ საკვებთან და გარემოსთან ადაპტაცია.

გარემო-ფაქტორებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული მეთოდით დათევზიანების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტო ავტომატურად განიხილავს ჩამოთვლილთანგან შემდეგი მეთოდით დათევზიანებას.

წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დათევზიანების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულად მივიჩნევთ დათევზიანების თანამედროვე (საუკეთესო) მეთოდის დანერგვას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოგმართავთ თხოვნით, რომ წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრება.

პატივისცემით,

რევაზ ბეჟაშვილი



უფროსი

სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"





N 1/144  
17/06/2022

144-1-2-202206171439



**შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერჯეტიკულ კორპორაცია“-ს**

**ასლი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება  
„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს“**

გაცნობებთ, რომ ხშირი წვიმების გამო მომატებულმა სიმღვრივემ, სსიპ „ველური ბუნების სააგენტო“-ს ნაკადულის კალმახის ეროვნულ საშენში გამოიწვია წყაროების უცაბედი, ზენორმატიული ამღვრევა. აღნიშნულმა ზემოქმედებამ გამოიწვია ლიფსიტების ნაწილის მნიშვნელოვანი რაოდენობის დახოცვა. აღსანიშნავია, რომ ნაკადულის კალმახი, განსაკუთრებით კი ლიფსიტები საკმაოდ სენსიტიურად რეაგირებენ გარემო-ფაქტორების მიმართ. მომატებული სიმღვრივე საყურადღებოა, რადგან ლაყურების რკალებზე არსებული ფოთოლაკები იბიდნება და იწვევს თევზის მასიურ დახოცვას ან/და დაავადებას. არსებული ფორსმაჟორული მდგომარეობის გამო, სსიპ - „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“ 2022 წელს ვერ შეასრულებს დათევზიანების მომსახურებას.

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სსიპ - „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“ იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების საფუძველზე 2023 წელს განახორციელოს ორმაგი რაოდენობით დათევზიანება.

ასევე გაცნობებთ, რომ საქართველოში წამყვანი იქთიოლოგების დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ დათევზიანების საუკეთესო მეთოდს თვალების სტადიაზე არსებული ქვირითი წარმოადგენს. შესაბამისად, 2023 წელს სააგენტოს სპეციალისტები განახორციელებენ ნაკადულის კალმახის 52 000 ცალი ქვირითით (თვალების სტადიაზე) დათევზიანებას. აღსანიშნავია, რომ დასათევზიანებელი ნაკადულის კალმახის 30%-ით მატება არ გამოიწვევს ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულების ცვლილებას.

ვინაიდან საქართველოში წამყვანი იქთიოლოგების მიერ დათევზიანებისთვის საუკეთესო მეთოდად დადგენილი იქნა ქვირითი - „თვალების სტადიაზე“. აღნიშნული მეთოდით მუშაობის პრინციპი ეფუძნება მინიმალური ანთროპოგენული ჩარევით, ნაკადულის კალმახის ინდივიდების ველურ ბუნებაში გამოჩვენებას. შესაბამისად, აუცილებლობას წარმოადგენს დათევზიანების ღონისძიების სწორ ჰაბიტატებში - ნაკადულის კალმახის საქვირითე მონაკვეთებში განხორციელება.

შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არსებული მდგომარეობის შესახებ ეცნობება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს“.

დანართი - დინგნიჩაბას *Polyodon spathula* (Walbaum, 1792)-ს, როგორც უცხო სახეობის საქართველოში შემოყვანისა და ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის თვალების სტადიაზე დათევზიანების თაობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N 2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს ონლაინ შეხვედრის ოქმი.

რევაზ ბეჟაშვილი



უფროსი



სსიპ "ველური ბუნების ეროვნული სააგენტო"

დინგნიზებას *Polyodon spathula* (Walbaum, 1792)-ს, როგორც უცხო სახეობის საქართველოში შემოყვანისა და ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის თვალების სტადიაზე დათევზიანების თაობაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 19 მარტის N 2-312 ბრძანებით დამტკიცებული აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს

ონლაინ შეხვედრის ოქმი

2022 წლის 17 თებერვალი

**შეხვედრის მონაწილეები:**

**რამაზ მიქელაძე** - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მეთევზეობისა და აკვაკულტურის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარე;

**არჩილ ფარცვანია** - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი;

**ბელა ჯაფოშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებრივმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ზოოლოგიის ინსტიტუტის ჰიდრობიოლოგიისა და იხთიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

**გიორგი ეპიტაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებრივმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მკვლევარი, საბჭოს წევრი;

**რეზო გორაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების სამმართველოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, საბჭოს წევრი;

**ლალი ჟღენტაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვისა და საბუნებრივმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;

**თორნიკე ხარგალაძე** - სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადებების ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**შოთა ჯოხაძე** - სსიპ - ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სატყეო მეურნეობისა და ტექნოლოგიების სამსახურის მოწვეული სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

**ავთანდილ მიქაბერიძე** - სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;



**ელდარ კაშია** - სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

**გიორგი ზაალიშვილი** - სსიპ - ველური ბუნების სააგენტოს სპეციალისტი;

**გიორგი რამაზაშვილი** - სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

**საბჭოს წევრთა მოსაზრებები:**

**რამაზ მიქელაძე** - მოგეხსენებათ დღეს საბჭოს პირველი შეხვედრაა და მნიშვნელოვანია საბჭოს ძირითადი პრინციპების და ფუნქციების გავლა. მართალია საბჭო შექმნილია აკვაკულტურის ხელშეწყობის მიზნით, თუმცა მნიშვნელოვანია ჩვენს საქმიანობაში გავლილ იქნას ის ძირითადი საკითხები და პრინციპები, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს დაცვასთან და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან. დღევანდელ შეხვედრას ესწრება აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ნახევარზე მეტი, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ ლეგიტიმური გადაწყვეტილება კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. საქართველოში აკვაკულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია, საქართველოს წყლებისათვის უცხო თევზის სახეობების შემოყვანა, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სარეწაო პოტენციალით, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შემოყვანილმა სახეობამ საფრთხე არ შეუქმნას ადგილობრივ/აბორიგენულ სახეობებს. გამომდინარე იქიდან, რომ კერძო სექტორში არის დაინტერესება დინგნიჩაბას *Polyodon spathula* (Walbaum, 1792) შემოყვანაზე, დღევანდელი შეხვედრაზე განხილულ იქნება აღნიშნული სახეობის საქართველოში ინტროდუციის საკითხი. გარდა ამისა განვიხილავთ ნაკადულის კალმახის დათევზიანების მეთოდოლოგიის საკითხს, რაზედაც ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები წარმოგვიდგენენ პრეზენტაციას და გაგვაცნობენ თავიდანთ ხედვებსა და საქმიანობას აღნიშნულთან დაკავშირებით.

**არჩილ ფარცვანია** - მიმაჩნია, რომ აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭო მნიშვნელოვანია საბჭოა, მის მუშაობას პირდაპირი კავშირი აქვს აკვაკულტურის განვითარებასთან საქართველოში. მნიშვნელოვანია საბჭოს მუშაობამ შედეგი მოიტანოს აკვაკულტურის ეფექტურობის ამაღლების კუთხით. საბჭოს აკისრია დიდი პასუხისმგებლობა, ვინაიდან უცხო სახეობის საქართველოში ინტროდუციამ ადგილობრივ სახეობებზე ნეგატიური გავლენა არ უნდა იქონიოს.

**გიორგი რამაზაშვილი** - დინგნიჩაბას შემოყვანის მოთხოვნით შემოსულია 2 განაცხადი, პირველი ეს არის შპს „ფიშკო“, რომელსაც სურს 100 000 ერთ გრამიანი ლიფსიტის ან/და 1 კგ. განაყოფიერებული ქვირითის შემოტანა და შპს „ფიშ“, რომელსაც სურს 100 000 ერთ თვიანი ლიფსიტის შემოყვანა. ორივე შემთხვევაში სახეობის წარმოება იგეგმება სატბორე მეურნეობაში.

**რამაზ მიქელაძე** - აღნიშნული სახეობა წარმოადგენს პლანქტონოფაგს, იკვებება ძირითადად ზოოპლანქტონით, ასევე მის საკვებ ბაზაში შედის ფიტოპლანქტონი და სხვა მაკრო



ორგანიზმები. აქვს წყლის გამფილტრავი ფუნქცია და ხელს უშლის ევტროფიკაციის პროცესის განვითარებას, ამასთანავე ახასიათებს მაღალი გემოვნური თვისებები. მეზობელ ქვეყნებში აღნიშნული სახეობის აკვაკულტურაში გამოყენება დანერგილია და საკმაოდ მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მივესალმები აღნიშნული სახეობის საქართველოში შემოყვანას და აკვაკულტურაში გამოყენებას, როგორც სატბორე მეურნეობებში, ასევე ექსტენსიური აკვაკულტურის ობიექტებში.

**არჩილ ფარცვანია** - მომხრე ვარ აღნიშნული სახეობის საქართველოში შემოყვანის, თუმცა მნიშვნელოვანია შესაბამისი კვლევების განხორციელება მისი შესაძლო ზემოქმედების კუთხით. პირველ რიგში მომხრე ვარ იმის, რომ სახეობა შემოყვანილი იქნას სატბორე მეურნეობებში, თუმცა ტბორებიდან არ უნდა მოხდეს ინდივიდების სხვა წყალსატევებში გაღწევა. რაც შეეხება ბუნებრივ, თუ ხელოვნურ წყალსატევებს მნიშვნელოვანია მივუდგეთ სიფრთხილით, ვინაიდან შესაძლებელია სახეობამ კონკურენცია გაუწიოს აბორიგენული სახეობების ახალმოზარდს საკვებ ბაზაზე. ამასთან შესაძლებელია აღნიშნული სახეობის წყალსატევებში დათევზიანება იყოს ადგილობრივი სახეობებისათვის საფრთხის შემცველი, ამიტომ მნიშვნელოვანია პირველ რიგში სახეობა გაშვებული იქნას სატბორე მეურნეობებში.

**შოთა ჯოხაძე** - მივესალმები აღნიშნული სახეობის საქართველოში შემოყვანას და წყალსატევების დათევზიანებას, ამასთან მნიშვნელოვანია მაქსიმალურად მოხდეს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობებთან დაკავშირებით. განაყოფიერებული ქვირითის შემოტანა მიზანშეწონილად მიმაჩნია, ვინაიდან განაყოფიერებული ქვირითის შემოტანისას მინიმალური რისკი არსებობს იმის, რომ რაიმე დაავადება შემოყვება ქვირითს.

**ბელა ჯაფოშვილი** - მართლაც მნიშვნელოვანია აღნიშნული სახეობის შემოყვანა საქართველოში, თუმცა აღსანიშნავია, რომ შეფასდეს რისკები, რაც აღნიშნული სახეობის შესაძლო ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული, როგორც იქთიოფაუნაზე შესაძლო ზემოქმედების კუთხით, ასევე შესაძლო დაავადებების გავრცელების კუთხით. გამომდინარე აქედან შესაძლებლად მიმაჩნია აღნიშნული სახეობის შემოყვანა და კულტივირება პირველ ეტაპზე სატბორე მეურნეობებში.

**რეზო გორაძე** - მივესალმები დინგნიჩაბას შემოყვანას საქართველოში, ვინაიდან გამოირჩევა ზრდის ტემპით და გემოვნური თვისებებით. თუმცა მნიშვნელოვანია სახეობა შემოყვანილ იქნას სატბორე მეურნეობებში კულტივირებისთვის.

**ელდარ კაშია** - ჩემი აზრით მნიშვნელოვანია სახეობის შემოყვანა სატბორე მეურნეობაში. მნიშვნელოვანია სახეობაზე დაკვირვება თუ როგორ მოხდება მისი საქართველოს პირობებში შეგუება და აკლიმატიზაცია, რის შედეგადაც გვექნება კონკრეტული ინფორმაცია და დასკვნები, რომელიც შემდგომში მნიშვნელოვანი იქნება არასატბორე მეურნეობებში მოშენების კუთხით.

**თორნიკე ხარგალაძე** - მნიშვნელოვანია სახეობის შემოყვანამდე შესწავლილ იქნას იმ ქვეყნის ეპიზოტიური მდგომარეობა, საიდანაც უნდა მოხდეს ქვირითის თუ ლიფსიტის შემოყვანა. ამასთან მნიშვნელოვანია საკარანტინო პირობების დაცვა და შესაბამისი ვეტერინარული მოწმობის ქონა.

**რამაზ მიქელაძე** - შოთა ჯოხაძე წარმოადგენს = პრეზენტაციას ნაკადულის კალმახის დათევზიანებასთან დაკავშირებით.

**შოთა ჯოხაძე** - როგორც მოგეხსენებათ, კალმახით დათევზიანების მეთოდებს შორის ქვირითის დათევზიანება თვალების სტადიაზე საუკეთესო მეთოდად არის შეფასებული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ქვირითის დათევზიანება თვალების სტადიაზე გვამლევს საშუალებას ქვირითს ჩაუტარდეს შესაბამისი დეზინფექცია. ქვირითი ლაგდება მდინარის სათავის სიახლოვეს ხელოვნურად მოწყობილ ადგილებში. ეს საშუალებას აძლევს ლიფსიტს დაიბადოს ბუნებრივ გარემოში და მარტივად გაიაროს ბუნებასთან ადაპტაცია. აღნიშნული მეთოდი გვამლევს საშუალებას ადამინის მინიმალური ჩარევით მივიღოთ მაქსიმალური შედეგი.

**არცილ ფარცვანია** - ვეთანხმები მომხსენებელს, რომ ქვირითის დათევზიანება თვალების სტადიაზე მართლაც რომ აპრობირებული მეთოდია და ვემხრობი აღნიშნული მეთოდის დანერგვას საქართველოში.

**ავთანდილ მიქებარიძე** - მივესალმები აღნიშნული მეთოდის დანერგვას და კალმახის დათევზიანებას, განსაკუთრებით კი დაცულ ტერიტორიებში, ასევე მნიშვნელოვანია დამატებით მოხდეს საქვირითე ადგილების მოწყობა და დაცული ტერიტორიების თანამშრომლების დატრენინგება, რათა მოხდეს მათი მხრიდან მონიტორინგის წარმოება.

**შეხვედრის შეჯამება:**

კენჭისყრის შედეგად, აკვაკულტურის მრჩეველთა საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა:

1. საქართველოსთვის უცხო სახეობის დინგნიჩაზას *Polyodon spathula* (Walbaum, 1792)-ს შემოყვანას და მის კულტივირებას მხოლოდ სატბორე მეურნეობებში.
2. ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითის თვალების სტადიაზე დათევზიანებას და ამასთანავე აღნიშნული მეთოდი შეფასდა საუკეთესო მეთოდად.

DocuSigned by:

საბჭოს თავმჯდომარე /რამაზ მიქელაძე/

23 თებერვალი 2022 წ.

DBC2A70AA80B4C4...